1909 F.

3 3 8 3 00 0 9037560060

# "dagggama"

გამოდის ეოკელ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა ა 8 0 0 0 0 0 6 6: როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით მან., ნახევარი წლით 4 მანეთი. 1 ნოემბრიდან წლის ბოლომდე თვილისში მ. 60 კ. თფილისს გარეთ 1მან. 80 კ. **თვიურათ**: თფილისში 80 კ., თფილისს კარეთ 90 კაპ. ცალკე ნომერი — 5 კაპ. ადრესის გამოცვლა ლირს 40 კაპ. (შეიძ-

ლება მარკებითაც). გახეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ლირს 15 - კაპ., უკანასკნელზე—10 კ.; სამგლოვიარო განცხადება თითოგერ სალამოს 5 ს —მდე 3 მ. ლეთი საათის შემდეგ — მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. ნაშუადო 2 საათამდე და სალამოს <u>—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე. რედაქცია ხელმოუწე-</u> რელ წერილებს არ ბეჭდავს. **დაუბეჭდავ მცირე წერილ**ებს არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს.

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა, სახლი № 3, ზემო სართულში. 3 7 m 0 6 8 3 8 M 6 3 8 8 3 8 6 0 3 8 6 0 6 0: Тифлисъ, тип. "Шрома", Калистрату Конст. Цуладзе.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ อธิตอกปฏิธีเลก ป เขาปฏ. არძოდვება 14. ხუთ**შაბათს**, 5 **6ოემბერს** 1909 წელს ქართული დრამატ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება: პირველად ამ სეზონში—სცენები იმერეთის ცხოვოებიდან

4 danja. og. donggamolo. მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი ტასო აბაშიძე,ა. კარგარეთელი, მ. მდივანი, მ. ქილარჯიშვილი, ნ. ჯავახიშვილი. ბ-ნნი: ს. სვიმონიძე, ვ. გამყრელიძე, ნ. გვარაძე, ზარდალიშვილი კ. მესხი, შ. აფაროვი, ვ. ურუშაძე.

ადგილების ფასი: ლოჟები 10 მ. 50 კ-დან 5 მ-დე, პარტერი 2 მ. 50 კ. 60 კ.-დე, გალერეა 40 კ-დან 20 კ-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ. დასაწყისი სწორეთ სალამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენათ: "ლევან ბატონიშვილი". «გიორგი Ш», «ქოჩრიანი ტოროლა», მორიგი რეჟისორი ა. მესხი. რეჟისორის თანაშემწე გ. ურუშაძე. დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.

തയ്യായപ്പെറ്റു പ്രദ്യായ വിട്ടിയുന്ന

საოპერო ამხ. ანტ. ეიხენვალდის გამგეობით დღეს მეორეჯერ ჯიოკომო პუჩჩინის

M-me

მ<mark>უსიკალური დადგმა ანტ. ეიხენვალდისა. მონა</mark>წილეობენქ-ნნი: არდი, ელაგინა, ზასლავსკა*ი*ა ფერრარი, შულგინა, ედელბერგი; ბ-ნნი: დემიანენკო, ევლახოვი, კორჩმარევი, მაჩალოვი, პევცოვი, ტირაციანი

დასაწყისი სალამოს 8 საათზე. ფასები ჩვეულებრივია. ხვალ "**Დ**უბრომსპი". მზადღე<sup>გ</sup>ა «გუგენოტები.»

დავით, ილია, კონსტანტინე, ალექსანდრე, თამარა და ელენე იოსების ძენი და ასულნი გაბაშვილნი, სოფიო იოსების ასული და ალექსანდრე პეტრეს ძე სარაჯიშვილები, ელენე ზაალის ასული და ნინო ივანეს ასული გაბაშვილნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ უეცრათ გარდაცვალებას: პირველნი—ძვირფას მამის, მეორე — სიმამრის, ხოლო უკანასკნელნი — მამამთილის

നസ്വാർ (๑๑๓) დავითის მის გაგაშვილისას პანაშვიდი სამშაბათს და ოთხშაბათს სალამოს 7 საათზე, ცხედარს გამოასვენე-ბა ბინიდან (ოლგას და ბელინსკის ქუჩ. კუთ., საკ. სახ.) ხუთშაბათს, 5 ნოემბერს, დილის 3 ს. ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, დაკრძალვა სოფ.

#### თფილისის კერძო სამკურხალო

mitanyoto Bo.

30 მუდმივი საწოლი და სამშოპიარო განყოფილებით. ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7,

ლამბა შიძე გ. დ. შინაგან და ბავშვ. ყოველ მელიძი შვილი 6. მ. მელემეშ80ლი 6. მ. ქიმირ. და დედაკ. ყო. ველ დღე 12—1 ს. **მუსხელეშ80ლ0 8. ს.** თვალის, ორშაბათ. დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.

**გედევანი ფვილი მ. ა.** ნერვების და ელ. ოთხშ. და პარსკ.  $2-2^{1}/_{2}$  ს. ორშამ., ოთხშ. და პაუ.  $10^{1}/_{2}$ —11. ფირალოვი რ. გ. ქირურგ., ყოველ დღე

**გურა** გ. პ. შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და 1306sb 11-12 b.

മീർന്മർറ്റ രം. രം. അന് നട്ടെ വര്യാം വര്യാം ბათობით 9-10 ს. პბრშინი ა. ა. კანისა და ვენ., ყოველ დღე

კვირას გარდა  $2^{1/2}-3^{1/2}$  ს. **მბღალა შმილი გ. გ.** შინაგ., სამშ. და შაბ. 10-12

**მბნს3ეტბუ3ელე 3. მ.** შინაგანი. ორშაბ., ხუთშ. და შაბ. 1—2.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკრო-ქიმიური და ბაქტეროლოგიური ლაბორა-

ტორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და შეღავათ აანი საფასურით.

და ძიძათ გასინჯვა.

დღე 1-2 ს.

## ുനു യാരെ പുന്നിന് പ്രാപ്യാന്

ლიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695) ექ. 3. ს. მუსხელი შვილი: სამშაბათს ხუთ ეძ. ს. მაშაშმაძე კბილის ავათმყ. ყოველ შაბ. და შაბათს  $2-2^1/2$  ს.; თვალის ავათმყოფ. დღე 9—10 ს. ეძ. ე. გ. ფელოტოგი: ყოველ დღე, გარდა

**ე**ძ. ი. გომართილი ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ ავათმყ. მძ. ა. ნ. დიასამიძმ: ყოველ დღე 11<sup>1</sup>/2-121/, ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

**ეძ. წ. მ. მელიძი შმილი**: ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქურურგ. ავათმყ

ეძ. გ. ა. პოპომი: ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის კონსულტაცია მორიგებით.

მასწავლებელი.

£ 3629-

(0-10)

ამზადებს და წვრთნის მოწაფეებს

25dm (senema

ეველა სასწავლებლებისათვის

റുറത്യുത ,,ർനർടുട്ടെറ്

Gosdo, Aylol gas

Открыта подписка на новую ежедневную Газету на русс. яз.

ოთხშ. და კვირ. 11-12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქი-

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და

პოპომი ბ. ბ. ყურის, ყელის და ცხვირის

**6360ლბძე 6**. კბილ. ყოველ დღე 9—11.

სოგოლემსპი გ. გ. ქირურგ. ყოველ დღე

თიპანაძმ ი. ა. დედაკაც. საბებიო. ყოველ

(Fm.)

ყოველ დღე, გარდა პარ.  $2-2^1/2$  ს.

Отдѣльный № 3 коп.

За мъсяцъ подписная плата 50 коп. ГАЗЕТА ВЫХОДИТЬ съ 5 НОЯБРЯ Адресъ: Тифлисъ Ред. газ. "Новая Ръчь" Дворцовая, домъ груз. дворянства.

Ред. изд. П. А. Готуа.

### J3&Mamanenaan

ვისაც სურს შვეიცარიის საუკეთესო ავტომობილის ფაბრიკებიდან შეიძინოს ავტომობილი, ლანდო, კარეტა, კალიასკა, ლია თუ დახურული, ოჯახისთვის თუ სა-

ეტლი 5 ან 12 ალაგიანი და სხვა და სხვა მოგვმართოს შემდეგი ადრესით: "Herrn Bendianidse, Automobilfabrik «AJax» A. G. Hirschengraben, 80 «Zurich».

നാരുടെ വി പ്രത്യാന തുട്ടിന്റും പ്ര ദ്യാന്യാര്യ შემიძლია მსურველს ფაბრიკის ნაკლებ ფასში ვაყიდვინო.

დამატებითი ცნობები «მომავალის» რებენდიანიძე.

გევეთევე გიმნაზია და საბუ-Ugan, dodal 5 Front Lozotomma 3modტიკა და ვეძებ შესაფერ სამუშაოს. მიძლია დამწერ მაშინაზე მუშაობა.

alosagol Onsozo, list. № 16, dobs dy-9 bsfogodo.

#### Jonmob ganan

## gsdsgdsdg

დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. ვოგზლის ლეჩებნივაში 9 საათიდან 11 საათამდის.

Jonmol gando

#### J. BJGGJANJ ილებს ავათმყოფებს დილიო 8—9 ს.

bomodmon 3-7 b. კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავქალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს).

8 ნოემბრიდან თფილისში გამოვა ახალი ყოველდღიური საპოლიტიკო და სალი

#### ტერატურო რუსული გაზეთი 9

გაზეთში მონაწილეობ ს მიიღებენ როგორც იდგილობრივი ძალები, ისე სატახტო ქ ლაქების მწერლები და პუბლიცისტები. გაზეთის ფასი: ერთი თვით 75 კაპ. ერ-

თი წლით—7 მანეთი. რედაქცია და კანტორა იმყოფება: სასახლის ქუჩა, სახლი № 6 (Дворцовая ул.

Д. № 6). სტატიები, კორესპონდენციები და განცხადე-

რედაქტორი მიიღებს მოსალაპარაკებლათ ყოველ დღე დილის 12-2 საათამდე. რედაქტორ-გამომცემელი

ვლ. ბ. თავართქილაძე.

### -000000=

იყიდება ს. 608ოითში (გურიაში) რკინის გზის საღვურის ახლო საუცხოვოთ მორთულ-მოწყობილი სამოსახლო: დიდი ეზო, 5 ოთახიანი ოდა — სახლი, დიდი სამზარეულო სახლი, 2 ბეღელი, 2 სასიმინდე კარგათ მოწყობილი წისქვილი, წყლის ჩამური და სხვა საოჯახო შენობები. ეზოში დარგულია სხვა და სხვა კარგი ჯიშის ხეხილები. აღმოსავლეთით აკრავს 15 ქცევიანი მთა-ადგილი, ვენახით და ხეხილებით გაშენებული, კარგი ჰაერით და სახნავ-სათესით. სამი მხრიდან ჩაუვლის ფართე საურმე შარა-გზა.

პირობების გაგება შეიძლება ს. ნიგოითში მღვდელ ე. კალანდარიშვილთან და თფილისში, "მომავალის" რედაქციაში

#### თფილისი, 5 **6**ოემბერი.

კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა სახ. დუმის ცხოვრებაში — შეერთება ერთ ფრაქციათ ზომიერ-მემარჯვენეთა და ნაციონალისტებისა. ამიერიდან ალარ არსებობენი ცალკე არც პირველნი და არც მეორენი, არამედ არსებობს ეგრეთ წოდებული რუსული ნაციონალუ ന്റെ ფრაქცია, რომლის ლიდერია ბალაშოვი. მემარჯვენე გაზეთები ამ ახალ მოვლენას სიამოვნებით მიეგებენ. ცნობილი მენშიკოვის, "ნოვოე ვრემიას" სულის ჩამდგმელის. დიდი ხნის სურვილი აღსრულდა: მას სურდა ზომიერ-მემარჯვე. ნეთა, ნაციონალისტების, უკიდურესი მემარჯვენეების და ოქტომბრისტების მარჯვენა ფროის ერთად შეერთება და ამნაი რათ ძლიერი ცვნტრის შექმნა; ეს საქმე თითქმის შესრულებულია აკლია მხოლოდ მემარჯვენე ოქტომბრისტების ფორმალური გადასვლა ახლათ დაარსებულ ფრაქციაში, ფაქტიურათ კი ოქტომბრისტებისგან 20 — 30 დეპუტატამcool stomes delines show, how dogstoods უკიდურეს მემარჯვენეებს და მათ გადასვლას, ეს დამოკიდებულია ახალ ფრაქციაზე, ამან უნდა შეინახოს თავის პრო გრამაში სიტყვა "განუსაზღვრელი თვითმპყრობელობა" და მაშინ შეერთებაც გაჩალდება. ამ რიგათ, ძველი ცენტრი, ოქტომბრისტებისგან შემდგარი, ნელ-ნელა ქრება, მისი ძალა და მნიშვნელობა იკარგვის, ხდება ის დიფერენციაცია, რომელიც მე-3 დუმის შედგენის პირველი დღიდანვე მოსალოდნელი იყო და თუ ეს მაშინვე არ მოხდა, მხოლოდ იმიტომ, რომ საერთო საქმე—რევოლიუციასთან ბრძოლა ყველა ფრაქციებს—უკიდურეს მემარჯვენეებიდან მოკიდებული თვით ოქტომბრისტებამდე აერთებდა და როდესაც ეს საქმე გაკეთდა და ჯერი მიდგა შემოქმედებით მუშაობაზე, აქ სხვადასხვა შეიქნა. დუმის 28930 ერთი ნაწილი, ჩვენ აქ სახეში ამ ჟამათ არ გვყავს უკიდურესი მემარცხენეები, იძულებულია ყურადღება მიაქ-Uიოს მომწიფებულ ბურჟუაზიულ მოთხოვნილებებს, შემოიღოს რამე მსგავსი უფლებრივი წეს-წყობილებისა, დაამყაროს ისეთი კონსტიტუცია, რომელიც ხელს შეუწყობს ბურჟუაზიის განვითარებას და მის დაქსაქსულ ძალების გაერთიანებას. მეორე ნაწილი კი დაინტერესებულია ფეოდალების ძველი ციხე-სიმაგრეების აღდგენაში, შერყეული ნივთიერი მხარის გამაგრებაში და ამ მიზნისათვის სურს გამოიყენოს "განახლებული წეს-წყობილება". სწორეთ ამ უკანასკნელ მიზანს ემსახურება ახლათ დაარსებული დუმის ფრაქცია— "რუსული ნაციონალური ფრაქცია, დუმის უმრავლესობის თანაგრძნობაც მისკენაა. ოქტომბრი სტების მემარცხენე ფრთა ვერ გადასულა სავსებით ამ ბანაკში და ვერც თავის მემარცხენე ჯგუფებისაკენ გადაუდგამს ფეხი. მისი დღევან დელი ტრალიკული მდგომარეობაც აქედან წარმოდკეპა. მოსალოდნელია ამ მოკლე ხანში მისი ფიpowengoup pogumumo doguy 13030 Go. ეს დიდათ სასურველიცაა, რადგანაც ეს დააჩქარებს დუმაში ძალთა განწყობილების ახალ კომბინაციის შექმნას, ეს გარემოება კი ხელს შეუწყობს დუმას ჩქარი ნაბიჯით წავიდეს თავის რეაქცეონურ მოღვაწეობაში და ამავე დროს რუსეთის ხალხის უმრავლესობას საშუალება მიე-<u>ცემა მესამე დუმის ნამდვილ სახეს, ნამ-</u> დვილ სულსა და გულს გაეცნოს.

սոեարյութ-լգայնոլ արկրանո ար նու (შემდეგი)

როგორც ყველგან, ისე აქაც სინდიკატებისა და ტრესტების გამრავლებას თან მოყვა საქონელზე ფასების მომატება, განსაკუთრებით პირველ საქიროების საგნებზე, რის გამო უმთავრესათ ზარალოპს ხელ მოკლე ხალხი. მატულობს ფასები ნავთზე, მარილზე, მიტკალზე, სპიჩქაზე და სხვ. მარილის ფასმა, მაგალითად, სინდიკატების დაარსების შემდეგ ზოგიერთ ადგილებში მოიმატა თითქმის 50% -თ. ლურსმნის სინდიკატმა ფუთი ლურსმანის ფასი, რომელიც მის დაარსებამდე 1 მან. 55 კაპ. ფასობდა, შემდეგ 2 მან. 65 კაპ. გახადა. სინდიკატმა "კროვლიამა 1906 წელს ასწია ფა სი ფუთ რკინაზე 25,3 კაპიკით, ხოლო 1908 Famb - 38,5 3.3. 1903 Famb gg თი ნახშირი გადაურჩეველი  $6^{1}/_{2}$ — $7^{1}/_{2}$ კაპ. ფასობდა, 1908 წელს კი $-8^{1}/_{2}-9^{1}/_{2}$ კაპეიკი გახდა, ე. ი. მოიმატა თითქმის 30º/0-ით. 1904 წელს არშინი მიტკალი ლირდა 11 კაპ. 1908 წელს კი 141/ კაპეიკი. სფიჩქის სინდიკატმა იაშჩიკ სპიჩქაზე 4 მან. 4 აბაზიდან 9 მან. 2 შაურამდე ასწია ფასი მატულობს ფასეპი აგრეთვე პურზე, ხორცზე და სხვა საგ- სტატ. «Совр. Мір.» № 3.

ნებზე\*. ეს ფაქტი იმდენათ საყურადოებო და საგრძნობელი შეიქნა, რომ ბევრი დღევანდელი ქალაქის თვითმართველობისთვისაც კი, რომელიც სავსებით პლუტოკრატიის ხელშია, სანოვაგის გაძვირება თავსამტვრევ კითხვათ გამხდარა. რუსეთში შესდგა ეგრეთ წოდებული "რკინის კაეშირი ერობებისა," რომელიც ებრძვის სამეურნეო მანქანების და და სახლის სახურავ ჟესტის გაძვირებას. უკმაყოფილება ედება ფართო საზოგადოებას. მადა გაღვიძებული კაპიტალისტების წინ აღმდეგ ამხედრებულია არა მარტო პროლეტარიატი, რომელიც ყველაზე უფრო ზარალობს კაპიტალისტთა თავხედობისაგან, არამედ საზოგადოების ისეთი ნაწილებიც, რომელთაც არაფერი boghom oh ofg n 3hmmgoshnoonb zmoსიურ ინტერესებთან. ეს არც გასაკვირვალია, რადგან ტრესტები და სინდიკატები გარდა იმისა, რომ უფრო თავაშვებულათ ყვლეფენ თავიანთ მუშებს, იგი აგრეთვე მიმართულია საზოგადოთ მომხმაჩებელის წინააღმდეგ და მედგრათ გადააქვს მისი ჯიბიდან გროშები თავის უძირო ჯიბეში. ასე რომ, ურესტებთან და სინდიკატებთან ბრძოლა დღეს რუსეთის მცხოვრებთათვის თავსატეხ კითხვათაა გადაქცეული. ამიტომ, როცა გასულ გაზაფხულზე კითხვა დაისვა ახალი გრანდიოზული ტრესტის დაარსების შესახებ, რუსეთის "მოქალაქე" დაშინებული წარსულის და ეხლანდელის მაგალითებით, ალაპარაკდა. პრესაში თუ საზოგადოებაში წამოყენებულ იქნა ბევრი პროექტები შესახებ იმისა, თუ როგორ შეიძლება ხსენებულ მოვლენასთან andmms.

Nº 58

pmo 9282000

Transferred it

മുറ്റൂൻ გონია, რომ მთავრობა თუ არ დაამტკიცებს ტრესტების წესდებას და ამასთან საკანონმდებლო დაწესებულებებიც შეიმუშავებენ თავის მხრივ კანონს მათი აკრძალვის შესახებ, ამით საქმე გაიჩარხება და ეკონომიური ცხოვრების განვითარებაც "ნ ორმალურ ჩვეულებრივ" კალაპოტში ჩადგება. იმ ახმაურებაში, რომელიკ გამოიწვია მე ხალურგიული ტრესტის დაარსების შეს ხებ ხმებმა, ეს მოტივი უმთავრესი მოტიკი იყო, მარა კითხვა იბადება: შესაძლებელია თუ არა მართლა ამ გზით ტრესტების ალაგმვა თუ მოსპობა?

პირველ ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ დღევანდელი მთავრობა ათასგვარ უპირატესობას და პრივილეგიებს ანიჭებს გაერთიანებულ კაპიტალისტებს. მათი წაქეზების ინიციატივა ხშირათ მთავრობის წარმომაცგენლებისაგან გამოდის. ზაკაზების მიცემით, თუ ტრესტების საქონლის რკინის გზებზე შელავათიან პირობებში გადაზიდვით, იგი ხშირათ თვითონ უწყობს ხელს მათ განვითარებას. გარდა ამისა, რუსეთში არსებობს, ერთი მხრით, დიდი სადამოჟნო გადასახადები საზოვარგარეთიდან შემოტანილ საქონელზე და მეორე მხრით, მთავრობა უხვათ აჯილდოებს სუბსიდია პრემიების გაცემით უცხოეთის ბაზარზე გატანილ საქონელს. ეს კი სწორეთ ის იდეალური პირობებია, რომლებიც საუცხოვოთ უწყობენ ხელს ტრესტების განვითარებას. უცხოეთის საქონელზე დადებული დიდი საბაჟო გადასახადი კონკურენტს უგერიებს "სამშობლო ქვეყნის" კაპიტალისტს და შინაუ 5 ბაზარს მის მონოპოლიათ ხდის, ხოლო პრემიებით და სუბსიდიებით დაჯილდოება უცხოეთის ბაზარზე გატანილ საქონmoles bedgemgdel edmogle del "bombeyრელ" პირობებში გაასალოს ზედმეტი საქონელი, რომ შინ, შინაურ ბაზარზე oh amoyomal dot oroge, holy domo-yogბურათ გამოიწვევდა მის გაიაფებას. ასე რომ, მთავრობაზე იმედის დამყარება უნაყოფო ფიქრია.

მარა დავუშვაო ერთ წამს, რომ მთავ. რობამ უკუ აგდო ეხლანდელი პოლიტიკა

\*) ცნობები ამოღებულია ციპეროვიჩის

მრეწველთა კავშირების წაქეზებისა და მათ დევნა დაუწყო, —ამასთან წარმოვიდგინოთ, რომ გამოიცა კანონი, რომელიც სრულიად კრძალავს ტრესტების არსე-

მიალწევს თუ არა მიზანს ასეთი საშვალება?

ამ კითხვაზე რომ ვუპასუხოთ, საჭიროა მოკლეთ გავითვალისწინოთ თუ რა ნაყოფი გამოიღო ტრესტებისა და სინდიკატების დევნამ ამერიკაში —ამ კაპიტა. ლისტთა კავშირების კლასიკურ ქვეყანა ში. ტრესტებთან და სინდიკატებთან კანონმდებლობითი ბრძოლას აქ გრძელი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ 1887 წლის 4 თებერვალს მიღებულ იქნა კანონი შტატებში ვაქრობის შესახებ, რომელსაც შემდეგ წლებში ბევრი რეპრესიული ხასიათის დამატებები გაუკეთეს. ეს კანონი აწესებს ტარიფს, კრძალავს ყოველგვარ შეთანხმებას რკინის გზებს შორის, რომელსაც მიზნათ ექნება კონკურენციის მოსპობა. ასეთი კავშირის თვითეული დღის არსებობისათვის დამნაშავენი იხდიან 5 ათასს დოლარს. რკინის გზების კანტროლი დაკისრებული ქონდა 5 კაცისაგან შემდგარ კომისიას. მიუხედავათ obgon ajogina jobabalo aganobanizosong წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში დაარსდა რიმოდენიმე კავშირი რკინის გზებისა. ამ ხანათ ამერიკის რკინის გზე. ბის თითქმის 80 პროცენტი ამხანაგობე. ბათ შეკავშირებულია. კაპიტალისტებმა ამ კანონს იმით შემოუარეს, რომ საზოგადოების თვალის ასახვევათ რამდენიმე რკინის გზა შეაერთეს ერთ დაწესებულებათ და ამით აიცდინეს თავიდან დევნა.

მარა მარტო ამ კანონით არ გათავე ბული ამერიკის ანტი-ტრესტული კანონმდებლობა. 1900 წლამდე ამერიკის სხვადასხვა შტატებში გამოიცა ტრესტების წინააღმდეგ 30 კანონი. 1890 წლის 2 ივნისის კანონი სრულიად კრძალავს კაპიტალისტების ყოველგვარ შეთანხმებას წარმოების მოსაწესრიგებლათ და ფასების გასადიდებლათ. კანონი მთავრობას უფლებას აძლევს დამნაშავ-ს ქონებას კონფისკაცია უყოს ისე, როგორც ყოველივე კონტრაბანდას. 1900 წლიდან კიდევ გამოიცა რამდენიმე დამატებები და ახალი კანონები კაპიტალისტთა ასალაგმავათ, მარა მიზანს ვერც ერთმა ვერ მიაღწია. ტრესტები და სინდიკატები თანდათან ძლიერდებოდა და ბოლოს საქმე იქამდის მივიდა, რომ მიმდინარე წლის მარტში წარმომადგენ ლების პალატაში მთავრობამ შეიტანა კანონ-პროექტი 1890 წლის კანონის შესახებ. ამ კანონ-პროექტით ტრესტის არსებობა ნონიერათაა აღიარებული, მხოლოდ იგი აწესებს მთავრობის კანტროლს მის საქმეებზე.

(დასასრული იქნება)

### CO307070

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან) 4 ക്ലിർപ്പത്രം.

633660000.

თავრიზი. გზების გახსნის გამო სალამოზე ქალაქი გააჩირალდნეს.

ასტარა. რახიმ ხანმა და შახსევანებმა ორი დღის მოლაპარაკების შემდეგ დასტოვეს არდებილი. ქალაქს და ციხეს მთავრობის გუბერნატორის მოსვლაშდე რუსეთის ჯარი იცავს. სამ ნოემბერს საელჩოს წინ მოედანზე მრავალი ხალხის თანდასწრებით სომხის მღვდელმა სამადლობელი პარაკლისი გადაიხადა და მოლამ სამადლობელი ლოცვა წაიკითხა. შემდეგ მოხდა რუსის ჯარის "პარადი".

თეირანი. გუშინ მეჯლისის გახსნის დროს მინისტრთა კაბინეთის თავმჯდომარე სეპეხდარმა წაიკითხა სეფე სიტყვა, რომლითაც განაცხადა, რომ პარლამენტის გახსნით არეულობას ბოლო მოელო და დეპუტატების და მინისტრების შეთანხმებული მუშაობით ჩქარა განმტკიცდება სპარსეთში წესიერება და შესაძ. ლებელი იქნება რეფორმების განხორციელებაო.

ന്യൂട്ടായാ

კონსტანტინოპოლი. დიდი წვიმების გამო მდინარე ზეითუნი ნაპირებიდან გადმოვიდა. ნიაღვრებმა ძლიერ დააზარალა ადანა. ვალის უკანასკნელ დეპეშით ქალაქის უმეტესი ნაწილი წყალმა დაფარა. ლამით წყალმა გაარღვია რკინის გზის ახლოს შეზვინული მიწა და სამი უბანი წალეკა. სახლები ადრიანათ დასცალეს. დაინგრა მრავალი სახლი. ზარალი დი-

მდე იქნება. დაიღუპა ნათესი, რამდენი კაცი დაიღუპა ჯერ არ იციან. შინა ვილაიეტებიდან ჯერ ცნობები არ არის მოსული, რადგან მიმოსვლა შეწყვეტილია. უკანასკნელი ცნობებით წყალმა იკლო. ტრაპიზონში დაინგრა მრავალი სახლი. ჯერ-ჯერობით იპოვნეს 16 დამ-

#### 638C336-83600

ლონდონი. ლორდთა პალატა. ლანს დოუნმა განაცხადა, რომ საფინანსო ბილლის მეორეთ წაკითხვის დროს ის შე. იტანს შემდეგ რეზოლიუციას: ლორდთა პალატას არ შეუძლია თანხმობა განაც boomb sa dommob Bolobad, bobsa ash არ განიხილავს მთელი ინგლისის ხალხი co osgal zatohgth on zadmagath.

კანეია. პალატის ახლოს საღამო ხანს საშინელი აფეთქება მოხდა, რამაც ხალხი ძლიერ დააფრთხო. აფეთქება დინამიტის პატრონებისაგან მოხდა, ზარა,ოი ცოტაა.

#### 4000n.

ნიკოლაევი. ქალაქის ბანკში აღმოაჩინეს პეტერბურგში გორდონის მაღაზიიდან გატაცებული ბრილიანტები და ოქრო. ეს ნივთები დაუგირავებია ორ კაცს, რომელთაც დაეძებენ.

სტავროპოლი. 2 ნოემბერს სალამოს 8 Fab. Ussorby doffs adms.

პეტერბურგი. 2 ნოემბერს განიზრახეს აფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების კასის გაძარცვა. უცნობები შეიპარენ საზოგადოების შენობაში. გაანგრიეს კედელი, მაგრამ კასამდე ველარ მიაღწიეს, რადგან ლითონის კედელი შეხვდათ, დაყარეს იარალები და მოსამსახურის მისვლამდე გაიპარენ. გამოძიება სწარმოებს.

bahagan. badagoha babadahammad განიხილა 1908 წელს მემამულე ვესეmmglyn by onegosubant heldy co mot გლეხს გადაუწყვიტა ათი წლის კატორლა, ghon Jomn goodshoms.

boda bodanjomoja bobijogmodmal gobსნით ქალაქში ფაქტიურათ შემოღებულ იქნა საყოველთაო სწავლა.

პეტერბურგი. ქალაქის საბჭოში არი ჩეულ იქნა 25 ხმოსანი ძველი საბჭოს პარტიის, ორი — ჟურნალისტი სტოლიპინი და ხმოსანი მინიაევი—განახლების პარტიის.

სევასტოპოლი. ადესიდან მისულ გემზე დაიჭირეს ვილაც მაკოვსკი, რომელმაც პეტერბურგში 50,000 მანეთი მოი-

პეტერბურგი. შეკითხვათა კომისიამ ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ ერთი ხმისა უარყო ეკატერინოსლავის სატუსაღოში მომხდარ ამბის შესახებ შეკითხვა, რადგან ის საერთოთ დასაბუთებულათ ვერ სცნო. მიიღო შეკითხვა ადესის გენერალ-გუბერნატორის უკანონო მოქმედების შესახებ.

**ხერსონი**. ნოვოუკრაინკას ახლო თავს დაესხენ ნადლაკიდან მომავალ ფოსტას. თავდამსხმელნი უკუ აქციეს და ფოსტა უვნებლათ გადარჩა.

bahaman. Jada antigal boghman კრებამ დაადგინა 1910 წლიდან შემოილოს საყოველთაო სწავლა. მასწავლებლების შესანახათ გამოანგარიშებულია 138,856 მ. ვოლსკის ერობას განზრახვა აქვს დააარსოს მაზრაში ქლექიანებისთვის บงธิงศูกร์กาทอีก.

ქერჩი. ალექსეევიდან გენიჩესკში მიმავალ მატარებელში მეარტელეზე თავ. დამსხმელთაგან ერთი დაიჭირეს. მას აღმოაჩნდა 6015 მანეთი. მეორე ეჭვით დაიჭირეს, მესამემ სროლა ასტეხა და gondys.

b m ლ g რ s.

პეტერბურგი. დღე და ღამეში ხოლერით ავათ გახდა 3, მოკვდა 2, ავათ show 118.

### 73363636040 30197

ന്യൂർയാത്വ.

კრიზისის გამოწვევა. სალონიკში ათინიდან ცნობები მიუღიათ, რომ ხმელეთის და საზღვაო აფიცერთა შორის დამოკიდებულება ძალიან გამწვავდა. მშვიდობიანი მორიგებით საქმის გათავების იმედი ალარავის აქვს.

ათინაში დიდი სენსაცია გამოიწვია იტალიის ელჩის ბინაზე გამართულმა უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლების კრებამ. ამ კრებაზე განხილულ იქნა საკითხი საბერძნეთის თანამედროვე მდგო-

დია. შარტო ადანაში ასი ათას გირვანქა- ემარეობის შესახებ და გარეშე სახელმწიფოთა საბერძნეთის შინაურ საქმეებში ჩარევის შესახებ. კრებამ ინგლისის ელხს დაავალა პარლამენტის სხდომებს დაეს. წროს, რომ უფრო დაახლოვებით გაეცნოს საბერძნეთის თანამედროვე მდგომარეობას.

> ინგლისი და საბერძნეთი. ინგლისის ესკადრის უფროსმა შეუთვალა საბერძნეთის მთავრობას, ნება მომეცით ტიპალდოსის აჯანყებაში მონაწილეობის მიმლებ მეზღვაურებს, როგორც ზღვის ყაჩალებს, ალყა შემოვარტყა და დავატუსალოო. ამ ამბავს ბერძნები საშინლათ აუმხედრებია ინგლისელების წინააღმდეგ ტიპალდოსის პროცესი. ბერლინის

გაზე ოებს ათინიდან ატყობინებენ, რომ კომისიამ, რომელსაც ტიპალდოსის საქმე ქონდა გამოსაძიებლათ მინდობილი, ბევრი ისეთი მასალა შეკრიბა, რომელიც ტიპალდოსის სასარგებლოთ ლაპარაკობსო. amanhanh zoamangasan, begsons ammob, ნათქვაშია: მოწმეების ჩვენებიდან გამოირკვა, რომ კაპიტან ტიპალდოსმა პარლამენტის რამდენიმე დეპუტატთან ერ. თათ გეგმა შეადგინა, რომლის მიხედვი თაც ეხლანდელი უვარგისი კაბინეტი უნდა გადაეყენებიათ და ზორბასის თავamede coopenghebangs შეედგინათ. ზორბასმა უარი განაცხადა ასეთი საშუალებით შედგინილ კაბინეტის თავმჯდომარეობაზე. ორი დღის შემდეგ ტიპალcombo bamboll amborgo gmagol 30 აფიცრის გადაყენება. ზორბასმა ამაზედაც უარი უთხრა მას. მაშინ ტიპალდოსმა თავის ერთგულ აფიცრებთან ერთათ გადასწყვიტა ფლოტის ხელში ჩაგდება, პირეიში შესვლა და ძალით კაბინეტის გაგადაყენება. ამ გეგმის გაგებისათანავე მთავრობის ერთგულმა გემებმა. პირველმა აუტეხეს სროლა ტიპალდოსის მომხრეებს. ეს გარემოება, კომისიის აზრით, ტიპალდოსის აჯანყებას სრულიად სხვა სახეს აძლევს.

დუმის გარშემო. ნაციონალისტთა ფრაქციამ გადასწყვიტა ხომიაკოვს სთხოვოს, რომ დუმაში "რეჩის" თანამშრომელი ლიტოვცევი არ შემოუშვას სხდომების დროს. ლეტოვცევმა დუმის ანგარიშში დასწერა, რომ ზომიერთა ფრაქციას 29 თავი მოემატაო. ეს სიტყვები, ნაციონალისტების აზრით, მხოლოდ ცხოველების შესახებ შეიძლება კაცმა obdammb.

— ახლათ შედგენილი რუსთა ნაციონალური ფრაქცია ახლო მომავალში 3gტერბურგში "რუსთა ნაციონალურ კლუბის" გახსნას აპირებს. კლუბის დაარსების მიზანია მქიდროთ შეაკავშიროს ყველა ის ელემენტები, რომელნიც ფრაქციის პროგრამას იზიარებს. ამგვარივე კლუბების გახსნა სხვა დიდ ქალაქებშიაც აპირებენ.

დეპუტატის განთავისუფლება. რანდენიმე დღის წინათ შვიდი თვის ციხეში ჯდომის შემდეგ გაანთავისუფლეს ფინლიანდელი დეპუტატი ნუორტევი. ის აბოდან გელსინგფორსში წავიდა და რკინის გზის სადგურიდან პირდაპირ სეიმის სხდომაზე გაეშურა.

სისხლის შერევის საქმე. 29 ოქტომი ბერს პეტერბურგის საოლქო სასამართლომ დახურულ კარებში გაარჩია საქმე გლეხ მიხეილ და ანნა კორობოვსკების შესახებ. მიხეილი და ანნა ღვიძლი და-ძმა არიან. დიდი ხანია, რაც ცოლ-ქმრული კავშირით ცხოვრობენ და ქალიშვილიც შეძენიათ. ამ კავშირს ისინი არ მალავდენ და მეზობლების გაკიცხვას არავითარ ყურადღებას არ აქცევდენ. სასამართლოში მათ თავი დამნაშავეთ არ იცნეს, თუმცა მათი ცოლ-ქმრული დამოკიდებულების ფაქტი ნათლათ დამტკიცდა. საოლქო სასამართლომ ძმას გადაუწყვიტა წლის და 8 თვის გამასწორებელ რაზმში გაგზავნა, დას—ერთი წლისა და 8 თვის (30bg.

പ്രാത്രാത്രെ നിക്ക്രന്റാ. മാര്യാ "რ. ვ." მოთავსებულია საგულისხმიერო ცნობები პეტერბურგელ ჯალათ, ვინმე ა.-ზე. ჯალათი 27 წლისაა. 1906 წ. ის მუშაობდა ოხტის თოფის წამლის დამმზადებელ ქარხანაში. ის ანგარებამ შეაცდინა. თითო ჩამოხრჩობაში მას 100 მანეთს აძლევდენ. რამდენი არ ეცადა ა. თავისი საზიზლარი ხელობა სხვებისათვის დაეფარა, მაგრამ ამან არ უშველა. მუშებმა მისი ჯალათობა შეიტყვეს მოკვლის დაემუქრენ. ა-მ ქარხანა მიატოვა და სოფელ რჟევკიდანაც გაჰქრა,

სადაც მუდმივი ბინადრობა ქონდა წინეთ. ამის შემდეგ მან თავისი "ხელობა კიდევ უფრო განავითარა და გამოჩენილი ჯალათის სახელი დაიმსახურა. 1906-დან 1908 მდე ა-ს ჩამოუხრჩვია 76 კაცი: 68-პეტერბურგში, 8 კაცი—რეველში, სადაც "გასტროლებზე" მიუწვევიათ. დაბჯილთა შორის რამდენიმე ქალიც ყოფილა. თავის თანამდებობას ა. გულგრილათ ასრულებდა, ვითომ რაიმე სხვა ხელობასთან ქონდა საქმე; მხოლოდ ერთხელ გაუარა მას სიბრალულმა გულში ახალ-გაზდა დამნაშავისადმი. ამის შემდეგ მან ორჯერ სცადა თავის მოკვლა. ერთხელ ბაწარზე ჩამოკიდულს მიუსწრეს და შემთხვევით გადაარჩინეს სიკვ-

ნოვოროსიის უნივერსიტეტის გამგეობა დუმის დეპუტატს ნიკოლსკის ცილის. წამებისათვის პასუხის გებაში მიცემას უპირებს. ნიკოლსკიმ ამას წინათ "რეჩში" წერილი დასტამბა, სადაც ამბობდა, რომ ებრაელების უნივერსიტეტში მიღებისათვის უზომო ქრთამს იღებდენ გამგეობის მოხელენიო. დეპუტატ ნიკოლსკის ამ საქმის შესახებ საკმარისი დოკუმენტები შეუკრებია დი საქმის დანიშვნას უცდის, რომ საქვეყნოთ ნათელი მოფინოს მოხელეთა უკანონო მოქმედებას.

6382836-83600

საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი. შაბათს, 24 ოქტომბერს ბრიუსელში გაიხსნა მორიგი საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი, რომელზედაც თითქმის ევროპისა და ამერიკის ყველა სახელმწიფოებიდან არიან დელეგატები. პირველ დღეს კონგრესზე გაირჩა საკიოხი განსაკუთრებულ დეპეშათა სააგენტოს მოწყობის შესახებ სოციალისტური პრესისათვის ცნობების მისაწოდებლათ, ვინაიდან თანამედროვე დეპეშათა სააგენტოები მთავრობისაგან არიან დამოკიდებულნი. ეს შეურყევლათ დამტკიცდა შვეციის საერთო გაფიცვის დროს, როდესაც მთელი ევროპის სააი გენტოები გაფიცულთა წინააღმდეგ კამპანიას ეწეოდენ და ცდილობდენ საზოგადოებრივი აზრი გაფიცულთა წინაალმდეგ აემხედრებიათ. აზრათ აქვთ მოაწყონ ერთი სააგენტო პარიზში—დასავლეთ ევროპისათვის, ერთი —ბერლინში ჩდილოეთ ევროპისათვის და ერთიცლონდონში ამერიკისათვის.

პროპორციონალური წარმომადგენლობა. პარლამენტის ერთმა ჯგუფმა დაადგინა პარიზში და პროვინციებში პოლიტიკური კრებები გამართოს, რომელზედაც ორატორები აგიტაციას გასწევენ პროპორციონალური წარმომადგენლობის შემოღების სასარგებლოთ. 25 ოქტომბერს ამ ჯგუფმა უკვე გამართა ერთი კრება მონმარტზე, სადაც ორატორებათ გამოვიდენ: ნაციონალისტი შარლ-ბენუა, რადიკალ სოციალისტი ბიუისსონი, ანტისემიტი ლაზი, სოციალისტები ვარანი და სამბა. ორატორებმა დიდი გავლენა მოახდინეს დამსწრეებზე ოლქმა, სადაც მიტინგი მოხდა, დაადგი. ნა პალატის დეპუტატათ აირჩიოს სოციალისტი სამბი.

ბიულოვის რომში გადასახლება. "ნ. ვ." სიტყვით გერმანიის ყოფილი კანცლერი ბიულოვი სამუდამოთ სტო. ვებს ბერლინს და რომში ესახლება. ბიულოვს, გაზეთის სიტყვით, არ სურს გერმანიის პოლიტიკურ კულისებში მოღვაწეობა.

aghamyma andhamas. nussonou homon ლოეთ პროვინციებში სერიოზულმა აგრარულმა მოძრაობამ იფეთქა. გლეხები მოითხოვენ ძველი მიწათ-მფლობელობის, ეგრეთ წოდებული ფოროსის სისტემის გაუქმებას. აგრარულ მოძრაობას ისე ღრმათ აქვს ხალხში გადგმული ფესვები, რომ მთავრობამ ამ თავითვე საჭიროთ confists of jambgal Tolotof gotto, months ბული კანონ-პროექტის შეტანა კორტესებში. მოძრაობის მეთაურებმა მინისტრპრეზიდენტ მორეტს მიმართეს და სთხო. ვეს, სანამ კანონ-პროექტი განხილვას და დამტკიცებას ელირსებოდეს, მიღე. ბულ იქნას ზომები მიწათ-მფლობელე. ბის უზომო მოთხოვნილებათა შესამცირებლათო.

საქსონიის ლანდტაგის შედგენილობა. საქსონიაში არჩევნები დასრულდა. ახალი ლანდტაგის შედგენილობა შემდეგია: კონსერვატორები-29, ნაციონალ-ლიბერალები — 28, სოციალდემოკრატები -25, თავისუფალ-მოაზრენი -8, წვრილ მესაკუთრეთა პარტიის დეპუტა-

ტი-1. ამრიგათ, კონსერვატორებმა და. კარგეს 17 და ნაციონალ-ლიბერალებმა 3 sogma, ad ohmb, hmogbog bayasm დემოკრატებმა შეიძინეს 24 და თავისუფალ-მოაზრეებშა ა იხალი ადგილა. აღ-სანიშნავია ის ფაქტი, რომ სოციალდემოკრატების მიერ — შეძენილ 11 საარჩეგ. ნო ოლქში, აქამდე კონსერვატორები გატონობდენ.

ინგლისის პოლიტიკური მდგომარეო. ბა. სათემო პალატიდან ბიუჯეტი ლორდთა პალატას გადაეცა. დეპეშების ცნობით პირველი წაკითხვის შემდეგ ის ლორდებს მიულიათ. ამ ფაქტს ბიუჯეტის მომავალ ბედზე არავითარი გავლენის მოხდენა არ შეეძლო. ამ პირველი ფორმალური აქტის შემდეგ ლორდები დროს მოითხოვენ "დასაფიქრებლათ" და abmemme agament joobgol community თქვამენ თავიანთ გადაწყვეტილ აზრს სათემო პალატამ სხდომები შესწყვიტა 10 ნოემბრამდე.

რაკოვსკი ბუდაპეშტში. საზღვარ-გარეთელი გაზეთები იტყობინებიან რუმინიის სოც.-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელ ექიმ ხრისტიან რაკოვსკის ბუ დაპეშტში მისვლას. რაკოვსკის რუმინიიდან განდევნამ, როგორც ვიცით, დი-ത്ര എദ്രാപ്പന്ത്യായുടെ മാർന്നുറ്റാ മാന്ത്ര ამ შემთხვევის გამო რუმინიის ქალაქებში მიტინგები გაიმართა მთავრობისათვის პროტესტის გამოსაცხადებლათ. ბევრგან ხალხს პოლიციასთან შეტაკებაც მოუვიდა. რაკოვსკის აზრათ აქვს ბუდაპეშტში დარჩეს. ის დარწმუნებულია, რომ რუმინიის მთავრობა მას რუსეთის გულის მოსაგებათ დევნის, ვინაიდან რაკოვსკიმ "პოტიომკინის" მებრძოლ მეზღვაურებს თავშესაფარი აღპოუჩინა რუმინიაში. რაკოვსკის მთავრობა აბრალებს აგრეთვე გლეხებში რევოლიუციონური პროპაგანდის გაწევას.

### 78720 799090

საზოგადო კრება. კავკ. ქალთა კავშირის გამგეობა 12 ანოემბერს იწვევს საზოგადო კრებას. განსახილველია: 1. გამგეობის მოქმედების და ხაზინადარის ანგარიში. 2. მასწავლებელთა და აღმზრდელთა წრის არჩევა. 3. ქალთა მოძრაობა რუსეთში ღა საზღვარ-გარეთ. 4. bohymanl Jomos mhasonosynnh amblyნება. 5. საერობო თათბირი და ქალთა საარჩევნო უფლება. 6. ახალი წევრების მიღება. კრება მოხდება საექიმო საზოვადოების დარბაზში. (ალექსანდროვის ბაღში).

 ქართული თეატრი. დღეს ქართულ თეატრში წარმოდგენილ იქნება სცენები იმერეთის ცხოვრებიდან "სალხინო", სიუჟეტი აღებულია "ალუბლის ბალიდან", ა. ჩეხოვისა. ეს პიესა გასულ სეზონში პირველათ იყო წარმოდგენილი და საზოგადოებასაც მოეწონა. ახლო მომავალში წარმოადგენენ ახალ პიესებს: "ქოჩრიანი ტოროლა", შემდეგ — "გიორan III"-b co bbgob.

 დრამატიული საზოგადოების გამ. გეობამ ქალაქის გამგეობას თხოვა, რომ ერთი დღე, რომლითაც სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა სარგებლობდა წარმოდგენების გასამართავათ სახალხო სახლში, ისევ დრამ. საზ. განკარგულებაში დარჩეს. გამგეობამ თხოვნა შეიწყboho.

→ გოგოლის სახელობის სტიპენongon. Jomojah holymma zmanhanh სხდომაზე გადაწყდა: დაენიშნოს სტიპენდიები მე-3 საქალებო გიმნაზიის მოსწავლეებს, პავლიაშვილს, გეცს და ჯეიmobragu.

→ გაზ. "ორიზონის" განახლება. 10 ნოემბრიდან ხელ-ახლათ გამოსვლას იწყებს სომხური ყოველ-დღიური გაზეთი "monomon"

 ბლერიოს ჩამოსვლა თფილისშა. ამ თვის ბოლოს თფილისში მოელიან ჩვენი დროის ერთ უშესანიშნავეს ავიატორს ბლერიოს. წარსულ აგვისტოში amphama bookgaman zocognos amobდინა საფრანგეთიდან ინგლისში თავის საკუთარ სისტემის ჰაეროპლანზე. ბლერიო დიდუბეში აფრინებდა. ამგვარ გაფრენას ის ბაქოშიაც მოახდენს.

 მგლების განადგურება. ყუბანის ოლქის უფროსმა ბრძანება გამოსცა, რომლითაც ის სოფლის ადმინსტრაციას და მცხოვრებთ ავალებს ყუბანი ოლქში მგლების სრულიად განადგურებას მოწამვ -

ლით ("კავკაზი").

→ ექსკურსანტები. 14 ნოემბერს ქუთაისს მიემგზავრებიან საექსკურსიოთ ქართული გიმნაზიის მე-8 კლასის მოსწავლეები, ხოლო ქუთაისიდან თვილის ში ჩამოვლენ კლასიკური გიმნაზიის და რეალური სასწავლებლის უფროსი კლასის შეგირდები.

→ ცხინვალიდან იტყობინებიან, რომ იქგაუხსნიათ და უკვე უკურთხებიათ სამი

ვირველ-დაწყებითი სკოლა.

 კავკასიის სააბრეშუმო სადგურის მთავარი მეაბრეშუმე ი. ქუთათელაძე საფრანგეთში და იტალიაში იგზავნება სხვადასხვა ადგილებში აბრეშუმის კარკის ბაზარის გამოსარკვევათ.

→ ლექცია მეორეთ მოსვლაზე. თფილისში ჩამოვიდა პოლკოვნიკი ბეინენგინი, რომელიც სახალხო სახლში მუსაიფს გამართავს ქრისტეს მეორეთ მოსვლის შესახებ, რომელიც მისი აზრით უნდა მოხდეს 1932 წ., მაშინ მკვდრეთით აღსდგება 144 კაცი და ქრისტესთან ერთათ იმეფებენ ქვეყნათ 1000 წლ. განმავლობაშიო. ლექციები დანიშნულია 6, 9 და 10 ნოებრისათვის, დასწრება უფასოა.

+ საქართველოს საეგზარ, სამრევლო სკოლების მასწავლებელი ქალები საშობაო უქმეებზე პეტერბურგში მიემგზავრებიან საექსკურსოთ და 9 იანვარს და-

ბრუნდებიან.

→ ჯარის-კაცთა გაწვევა. თვილისის უბანში ახლათ გასაწვევ ჯარის-კაცთათვის კენჭის ყრა 3 ნოემბერს დაიწყო.

 წვრილ ვაჭართა მთავარ კომიტე on Fornamano and mosel both some ბის წევრთ იმის შესახებ, რომ საჭიროა მთავარ კომიტეტთან დაარსდეს პიურო, რომელიც შუამავლობას იკისრებს ვაჭარსა და დიდ-მწარმოებელთ შორის ამ უკანასკნელისაგან შეღავათიან პირობებით bojatomal zodanboggaron. od bojanobal შესახებ კომიტეტს პასუხი მოსდის.

→ რედაქციამ მიილო. საყმაწვილო ჟურნალის "ნაკადულის" პრემია "რას გვიამბობს ოთახი" (საბავშო ოთახი), თარგმანი გ. ჯაფარიძის მიერ. წიგნი

შეიცავს 32 გვ.

→ სახალხო განათლების სამინისტ~ რომ წინადადება შეიტანა 7 მილიონ მ. გადასადებათ პირველ-დაწყებითი სკოლების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ.

→ მსახიობი ქალი მ. მდივანი, ეს ერთი თვეა რაც ავათ გახდა და წარმოდგენებში მონაწილეობას ვერ ღებულობს.

 შემნახველ-გამსნსხებელი ამხანაგობა. წვრილ ვაქართა მთავარი კომიტეტი აცნობებს საზოგადოების წევრთ, რომ საგანგებო კრების დადგენილებისამებრ საქიროა დაარსდეს "შემნახველგამსესხებელი ამხანაგობა", რომლის წესდება ფინანსთა მინისტომა დაამტკიცა 1905 წ. თანხის შესადგენათ დანიშნუmas 30 d. don, madgmay domon, st ნაწილ-ნაწილათ უნდა შეგროვდეს 1 დეsaggensens.

 ტრამვაის დირექციის ბრძანება. კონდუქტორებს დირექცია ·

